

07  
8-71

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

**მანია ტორაძე**

**თანამედროვე ქართული პრესა და არჩევნების  
პრობლემა  
(ჟურნალისტური ასპექტები)**

10. 01. 10. – ჟურნალისტიკა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

**ა ვ ტ ო რ ე ჟ ე რ ა ტ ი**

თბილისი  
2005

Библиотека  
Тбилисского гос. педагогического института  
иностранных языков  
им. И. Чавчавадзе

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პრესის თეორიისა და პრაქტიკის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი **ვივი კაპანაძე**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
(10.01.10)

ოფიციალური ოპონენტები: 1. **ლუიზა ბოჩკოვა**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
(10.01.01)

2. **მარიამ თავაძაშვილი**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი  
(10.01.10)

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის „20“ აგვისტო „132“ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს (p10.10.№4) სხდომაზე

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1;

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

მისამართი: 0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2;

ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის 19 აგვისტოს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი  
/ნ. ტაბიძე/

1502

**თემის აქტუალობა:** სოციალური რეალობა, რომელსაც ქმნის ფაქტებისა და მოვლენების ერთობლიობა, ჟურნალისტიკურ ნაწარმოებში ჰპოვებს ასახვას. საქართველოში მიმდინარე ისტორიული კატაკლიზმების პერიოდში პრესამ მოვლენებიც აირეკლა და პოლიტიკური პროცესების მართვამაც აქტიურად ჩაერთო. სახელმწიფოებრივი მშენებლობის ამ ეტაპზე, როცა საბოლოოდ მკვიდრდება დემოკრატიული ფასეულობანი, მნიშვნელოვან საკვლევ თემად მივიჩნიეთ არჩევნები, როგორც ქვეყნის დემოკრატიულობის უპირველესი მაჩვენებელი და მისდამი ქართული პრესის დამოკიდებულება.

ნაშრომში გაანალიზებულია პრესისა და არჩევნებში მონაწილე სუბიექტების ურთიერთობათა სხვადასხვა ასპექტი.

**კვლევის საგანი და მიზანი:** სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია 1990-2004 წლების ქართული ბეჭდური მედია წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში.

ნაშრომის მიზანია – ასახოს, რა ძირითადი ტენდენციები შეიმჩნეოდა არჩევნების გაშუქებისას პრესაში, როგორ ახერხებდა იგი ხელისუფლებასთან ურთიერთობასა და ამ უკანასკნელისგან დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, როგორ განიცადა ტრანსფორმაცია ყოველივე ამის ასახვის ფორმებმა და მეთოდებმა. მასში ნაჩვენებია, რომ თავისუფალი პრესა დემოკრატიულობის უმნიშვნელოვანესი ასპექტი, მისი მოთხოვნების განხორციელების მძლავრი ბერკეტი და საზოგადოების თვითმმართველობის დამკვიდრებისთვის უმნიშვნელოვანესი იარაღია. ნაშრომში გაანალიზებულია საარჩევნო თემად შექმნილი პუბლიკაციები, რომლებშიც ფიქსირდება დიამეტრალურად განსხვავებული შეხედულებები და პოზიციები. ვეცადეთ, პასუხი გაგვეცა კითხვებზე: რამდენად სრულად აისახა არჩევნების პრობლემა თანამედროვე ქართულ პრესაში, რა პრინციპებზე დაყრდნობით იკვეთებოდა პრიორიტეტები და გამოხატვის თავისუფლების რა დონით სარგებლობდა ბეჭდური მედია.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები:** სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე საკვლევ თემის აქტუალობასთანაა დაკავშირებული. ის არის ცდა წინასაარჩევნო პერიოდში ქართული პრესისა და საარჩევნო სუბიექტების ურთიერთობის ფორმების სისტემური სახით შესწავლისა.

საზოგადოების მონაწილეობის ეფექტიანობა დემოკრატიულ ფასეულობათა დამკვიდრებაში დამოკიდებულია მის საარჩევნო აქტივობაზე. პრესა არის საშუალება მოამზადოს ამომრჩეველი მოტივირებული არჩევანის გასაკეთებლად, გახადოს საარჩევნო კამპანია გამჭვირვალე, ხელი შეუწყოს საარჩევნო სუბიექტებს ობიექტური, სანდო ინფორმაციის გაცემასა და მიღებაში.

მოდებულმა მასალებმა გვიჩვენა, რომ ამ როლს ქართული პრესა ძირითადად დამაკმაყოფილებლად ასრულებს. ხშირ შემთხვევაში იგი იყენებს ოსტატურად მიგნებულ ხერხებსა და მეთოდებს,